



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ24.24221943

თარიღი:13/07/2022

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციების (სამუშაო აღწერილობების) დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტის, „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

- 1.დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციები (სამუშაო აღწერილობები) დანართის შესაბამისად.
- 2.ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 2 ივნისის №1112 ბრძანება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციების (სამუშაო აღწერილობების) დამტკიცების შესახებ.
- 3.დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილებას ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://zugdidi.mun.gov.ge/>) გამოქვეყნება.
- 4.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- 5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

